პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 157 (12973) | სამშაბათი, 7 ივლისი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

200.000 ტონა ჩაისათვის ივლისის პირველ დღეებში

ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს უფროსმა ამხ. ა. ჰეჭიამ რედაქციას აცნობა, რომ ამ დღეებში მოსული წვიმის შემდეგ ჩაის პლანტაციებში მასობრივად დაიწყო აზოტის მეორე დოზის შეტანა. ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ ჩაის ფოთოლი უხვად შემოვიდეს საკრეფად.

მართალია, მაის-ივნისში ჩაის კრეფის გეგმა შესრულდა — მოკრეფილ იქნა 19.057 ტონა ნაცვლად 18.875 ტონისა, მაგრამ ეს არ კმარა ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად. ამ თვეში გეგმით უნდა მოიკრიფოს 7.987 ტონა „მწვანე ოქრო". საჭიროა ჩვენმა მეჩაიეებმა ივლისში მოკრიფონ 10.000 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი.



კრეფის ტემპი დღითიდღე ძლიერდება. თუ 1 ივლისს საწარმოო სამმართველოში მხოლოდ 70 ტონა მოიკრიფა, 2 ივლისს მოკრეფილია 130 ტონა, შემდეგ კი — 150 ტონამდე ყოველდღიურად.

ჯემპი ძლიერდება

ლანჩხუთის საწარმოო სამმართველოს მეჩაიეებმა 6 ივლისასთვის უკვე მოკრიფეს 5.073 ტონა „მწვანე ოქრო". ეს შარშანდელთან შედარებით 140 ტონით მეტია. გუშინ მოიკრიფა 39,7 ტონა.

არიან მეჩაიეები, რომლებმაც უკვე შეასრულეს ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. ამ მხრივ აღსანიშნავია სოფელ ზემო აკეთის კოლმეურნეობია სახელოვანი მეჩაიე ეთერ ჩხაიძე. მან 0,5 ჰექტარზე მოკრიფა 3.380 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 2.500 კილოგრამისა. ასევე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შეასრულეს მამათის კოლმეურნეობის წევრებმა ოლია და ვენერა ჩხაიძეებმა, ზემო აკეთის კოლმეურნეობის წევრმა ნაზი ცოცხალაშვილმა.

სურათზე: მახარაძის რაიონის სოფელ ასკანის ბ. ძნელაძის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე ნარგიზა ჩხაიძე, რომელმაც ვალდებულება აიღო მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 6.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ნედლეული. დღეისათვის მას უკვე მოკრეფილი აქვს სამ ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი.

ფოტო ს. კილაძისა.

საქართველოს მეაბრეშუმეთა წარმატება

საქართველოს მეაბრეშუმეებმა ორგანიზებულად დაიწყეს აბრეშუმის ჭიის გამოკვება, და ფართოდ იყენებენ რა მუშაობის პროგრესულ მეთოდებს, შემჭიდროებულ ვადებში დაამთავრეს გამოკვება.

პირველი გამოკვების პარკის სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალებანი რესპუბლიკაში პირველმა შეასრულეს წულუკიძის საწარმოო სამმართველოს მეაბრეშუმეებმა, რომლებმაც დაამზადეს 3975 ცენტნერი პარკი, გეგმით გათვალისწინებულ 3.940 ცენტნერთან შედარებით, ლანჩხუთის საწარმოო სამმართველოს მეაბრეშუმეებმა — 2.247 ცენტნერი გეგმით გათვალისწინებულ 2.241 ცენტნერთან შედარებით, წყალტუბოს საწარმოო სამმართველოს მეაბრეშუმეებმა — 2.249 ცენტნერი გეგმით გათვალისწინებული 2.084 ცენტნერის ნაცვლად და გულრიფშის საწარმოო სამმართველოს მეაბრეშუმეებმა 958 ცენტნერი გეგმით გათვალისწინებული 953 ცენტნერის ნაცვლად.

წარმატებით გრძელდება აბრეშუმის პარკის დამზადება. (საქდესი).

პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი

ჩვენი პარტია და ხალხი ყოველდღიურად აძლიერებენ ბრძოლას კომუნიზმის მატერიალურ ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებისათვის, ახალი ადამიანის აღზრდისათვის. ამ დიდ ბრძოლაში კი განსაკუთრებული როლი აკისრიათ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს.

პირველადი პარტიული ორგანიზაცია პარტიის საფუძველი, მისი ძირითადი რგოლია. სწორედ აქ ყალიბდება თვითეული კომუნისტი როგორც იდეური, შეგნებული და აქტიური მებრძოლი. სწორედ ამ ძირითადი რგოლის საშუალებით ჩვენი პარტია პრაქტიკულად ახორციელებს თავის ხელმძღვანელობას მასებისადმი, ცხოვრებაში ატარებს თავის გადაწყვეტილებებსა და პოლიტიკას.

ჩვენს რესპუბლიკაში 9.300-მდე პირველადი პარტიული ორგანიზაციაა. ისინი წარმოადგენენ ფაბრიკებისა და ქარხნების მაღაროებისა და მშენებლობის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, კულტურული, სავაჭრო, სახელმწიფო და სხვა დაწესებულებების კოლექტივთა ავანგარდულ რაზმებს, რომელთა საშუალებითაც პარტია გადაწყვეტილებები ადგილებზე კონკრეტულ საქმეებად იქცევა.

და სავსებით ბუნებრივია, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ თვითეულ პირველადს პარტორგანიზაციას სათავეში ედგას უნარიანი, პოლიტიკურად მომზადებული, ინიციატივიანი ამხანაგი. ეს კი თავისთავად დიდი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს ყოველ საქალაქო და სასოფლო პარტიულ კომიტეტს — თავისი ყოველდღიური მოღვაწეობის პირველი რიგის ამოცანად მუდამ მიაჩნდეს პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების სწავლება, წრთობა და აღზრდა.

ორგანიზატორული მუშაობის ხელოვნება დაბადებიდანვე როდი გამოყვება ადამიანს. იგი უნდა შეიძინონ თანდათანობით, პრაქტიკულ მოღვაწეობაში გამოცდილების გზით. და სადაც ღრმად ჩაუკვირდნენ ამ ჭეშმარიტებას, სადაც პარტიული კომიტეტები ყოველდღიურად ზრუნავენ პარტიული ორგანიზაციების მდივნების სწავლებისა და აღზრდისათვის, იქ შედეგებიც ცხადდებიან, თუ როგორ ამაღლდა თვითეული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობა, თუ რა სწორად და გონივრულად წყდება ცხოვრების აქტუალური საკითხები.

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც უარი განაცხადა სახელმწიფო დოტაციაზე, უკვე შარშან სამშობლოს 600 ათასი მანეთი მოგება მისცა. რით მიაღწია ამას? უწინარეს ყოვლისა იმით, რომ საამქროთა პარტიული ორგანიზაციები გაბედულად ჩაუდგნენ სათავეში ტექნიკური პროგრესისათვის, ეკონომიურ მაჩვენებელთა გაუმჯობესებისათვის ბრძოლას. ავტოქარხნელთა პარტორგანიზაციების მდივნები სწორად ითვალისწინებენ, რომ ყველა საქმეში წარმატების საწინდარია ორგანიზატორული და იდეოლოგიური მოღვაწეობის ერთიანობა, მიზანსწრაფულობა მუშაობაში.

იმ წარმატებებში, რომლებიც მიმდინარე წლის ნახევარში მოიპოვეს თბილისის სამრეწველო საწარმოებმა, რუსთავის მეტალურგიულმა და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნებმა, ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა და სხვა კოლექტივებმა, უდავოდ დიდია პარტიული ორგანიზაციების მეთაურთა როლიც. კომუნისტთა წინამძღოლებს ახლა ყოველდღიურად ნახავთ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გახურებულ სამუშაოებზე, მოსავლის ასაღები მანქანების აგრეგატებთან თუ მეცხოველეობის ფერმებში. მათს დიდ უმრავლესობას კარგად ესმის, რომ საქმის წარმატება დიდად არის დამოკიდებული ადამიანებთან ცოცხალ, პრაქტიკულ მუშაობაზე, რომ ყოველი ხელმძღვანელი მუდამ უნდა იყოს ცხოვრების შუაგულში, მასების ახლოს.

— მასებთან კავშირის განმტკიცება, — თქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა XXII ყრილობაზე, — ლენინური გულღიაობა, მისწრაფება, რომ ტრიალებდე ადამიანთა წრეში, ცხოვრობდე მათი ცხოვრებით და მათი საზრუნავით, პარტიული მგზნებარება ახლისათვის ბრძოლაში—აი რა უნდა განსაზღვრავდეს პარტიული ხელმძღვანელის სახეს.

მაგრამ ასეთ პასუხისმგებლობას როდი გრძნობს ყველა კომუნისტი, რომელსაც ამხანაგებმა დიდი ნდობა გამოუცხადეს და თავიანთ წინამძღოლად აირჩიეს.

გუმათის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ბ. ტონია კონკრეტულად ვერც კი გიპასუხებთ, თუ რატომ ვერ ასრულებენ ენერგეტიკოსები ელექტროენერგიის გამომუშავების ყოველთვიურ გეგმებს. თუმცა იგი კარგად ხედავს, რომ სისტემატურად არ იწმინდება საგუბრის კაშხალი, ირღვევა შრომის დისციპლინა, რაც ხელს უშლის ელექტროსადგურის ნორმალურ მუშაობას. საწარმოო გეგმების შესრულების საკითხებსაც ხშირად განიხილავენ პარტიული ორგანიზაციის კრებებზე, მაგრამ რა ფასი აქვს საკითხების მარტოოდენ განხილვას, როცა მასთან არ ახლავს საჭირო ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

პრაქტიკამ უკვე დაადასტურა პარტიული ორგანოების საწარმოო პრინციპის მიხედვით გარდაქმნის დიდი სიკეთე. ბევრი პარტიული კომიტეტი წარმატებით ეუფლება მუშაობის ახალ სტილს. ამ პარტიული კომიტეტების მუშაკები არა მარტო პროპაგანდას უწევენ პარტიის პროგრამის იდეებს, არამედ სრულყოფილადაც შეიისწავლეს საქმე და გადაიქცნენ მგზნებარე ორგანიზატორებად. მაგრამ, როგორც ჩანს, ყველა მუშამა ჯერ კიდევ ვერ იპოვა თავისი ადგილი პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი დახმარებასა და ხელმძღვანელობაში.

უკანასკნელ წლებში სკკპ წესდების მითითების საფუძველზე პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობაში სულ ახალი და ახალი აქტივი მოდის. მარტო შარშან ჩვენს რესპუბლიკაში პარტიული ორგანიზაციების მდივნად პირველად იქნა არჩეული 4.293 კომუნისტი, ხოლო მეორედ — 4.700. ეს სტატისტიკა იმაზე მიგვითითებს, რომ საჭიროა დაუნებით და სისტემატურად ვზრუნავდეთ ამ ახალი აქტივის სწავლებისა და აღზრდისათვის, მათი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ჩვევების გამომუშავებისათვის.

საქალაქო, რაიონულმა და საწარმოო სამმართველოთა პარტიულმა კომიტეტებმა შემოქმედებითად უნდა გამოიყენონ კადრების ორგანიზატორული და იდეური წრთობის ყველა საშუალება და მეთოდი, მეტი დახმარებითა და ზრუნვით უნდა მოიცვანონ ისინი, და მხოლოდ მაშინ მივაღწევთ იმას, რომ ყოველ პირველადს პარტიულ ორგანიზაციას სათავეში ედგას კარგი ხელმძღვანელი.

ნ. ს. ხრუშჩოვი მოსკოვს დაბრუნდა

ბალტიისკი (კალინინგრადის ოლქი), 5 ივლისი. (საკდესის კორ.). ხკანდინავიის ქვეყნებში ოფიციალური ვიზიტის შემდეგ დღეს თბილვალ „ბაპკირეთით" აქ ჩამოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირნი.

ბალტიისკის ნავსადგურში საბჭოთა მთავრობის მეთაურს შეხვდნენ ბალტიისპირეთში დასასვენებლად მყოფი სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი რ. ი. მალინოვსკი, სკკპ კალინინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. კოხოვალოვი, მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. ა. პრე პრუშინსკი, წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის სარდალი ადმირალი ა. ე. ორიოლი, ბალტიისპირეთის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი გ. ი. ხეთაგუროვი, კალინინგრადის ოლქის მშრომელები.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მოირთო ნ ივლისს დედაქალაქის ბელორუსიის ვოგზალი. გულთბილად და გულითადად შეხვდა მოსკოვი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს, რომელიც დაბრუნდა სკანდინავიის ქვეყნებში — დანიაში, შვეციასა და ნორვეგიაში მოგზაურობიდან. ამ ქვეყნებში იგი იყო ოფიციალურ ვიზიტად.

თხუთმეტი დღის განმავლობაში საბჭოთა ადამიანები და საერთაშორისო ხაზოგადოებრიობის ფართო წრეები უდიდესი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს საბჭოთა მთავრობის მეთაურის კეთილი ნების მისიას. გულითადობა და გულთბილობა — ასე შეიძლება შევაფასოთ შეხვედრა, რაც ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვსა და მის თანმხლებ პირებს მოუწყვეს სკანდინავიის ქვეყნების მთავრობებმა, დანიელმა, შვედმა და ნორვეგიელმა ხალხებმა. ყველგან მხურვალედ ეხმაურებოდნენ ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადებას, რომ საბჭოთა ხალხი ესწრაფვის მშვიდობასა და მეგობრობას, საუკეთესო, კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას.

საბჭოთა მთავრობის მეთაურის მოგზაურობა ბრძნული ლენინური საგარეო პოლიტიკის ახალი გამარჯვებაა, დიდი წვლილია მშვიდობის საქმეში.

... სპეციალური მატარებელი ბაქანს უახლოვდება... ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ვაგონიდან გადმოდის, ხელს ართმევს პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეებს.

ნ. ს. ხრუშჩოვის შესახვედრად ვოგზალში მოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები.

ნ. ს. ხრუშჩოვი მიესალმება სსრ კავშირში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურებს.

მშრომელთა ბევრი წარმომადგენელი — მოსკოვის ფაბრიკების, ქარხნებისა და მშენებლობათა მუშები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეები გულითადად მიესალმებიან ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს. შემხვედრთ ყვავილთა თაიგულები უკავიათ ხელში.

ათასობით ადამიანი შეიკრება ვოგზლის მოედანზე. კვლავ იმართება ოვაციები, გაისმის მისასალმებელი შეძახილები. ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი გულთბილად მიესალმება მოსკოველებს.

მეგობრობისა და მშვიდობის ვიზიტი დამთავრდა! საბჭოთა ხალხი მხურვალედ იწონებს ამ ვიზიტის შედეგებს, რომელსაც უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს და რომელიც კონკრეტული წვლილია ხალხთა მშვიდობისა და თანამშრომლობის საქმეში.

(საკდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვი გამოვა რადიოთი და ჭელევიზიით

7 ივლისს 17 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით ამხანაგი ნ. ნ. ხრუშჩოვი წარმოთქვამს სიტყვას რადიოთი და ტელევიზიით დანიაში, შვეციასა და ნორვეგიაში ვიზიტის შესახებ.

შვიდწლედის დღეები

ალოოგა მცხეთაში

მცხეთა. (ტელეფონით). ალოოგაა მცხეთის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. კომბაინერთა აგრეგატები შეუფერხებლად მუშაობენ შემოსული თავთავიანი მარცვლეულის აღებისათვის. ნატახტრის საბჭოთა მეურნეობაში მინდვრის ხომალდები ახმაურდნენ, ქერის მკას ჩქარობენ. ამ საქმეში პირველობას არავის უთმობს კომბაინერი გიორგი ვურთაშვილი. იგი დღეში მკის 15 ჰექტარ ქერს ნაცვლად 10 ჰექტარისა.

პირველობისათვის იბრძვიან აგრეთვე მექანიზატორები ტიტე ალხანაშვილი, ნიკოლოზ ქოქოსაძე და ავთანდილ ორჯაშვილი. მათ უკვე მომკეს 100 ჰექტარზე მეტი ქერი.

თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალს სწრაფად იღებენ მეტეხის და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში. რაიონის მექანიზატორებმა გადაწყვიტეს 9.600 ჰექტარზე პურეულის მოსავალი აიღონ 12 სამუშაო დღეში.

მოსავალი ავიღოთ 12 სამუშაო დღეში!

შეჯიბრების ინიციატორთან

ყვარლის საწარმოო სამმართველოს ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორმა ზაალ სუხიტაშვილმა, რომელიც შეჯიბრების ინიციატორია, პურეულის მოსავალი აიღო 125 ჰექტარზე და გაღეწა 220 ტონა მარცვალი. იგი იბრძვის იმისათვის, რომ კიდევ 75 ჰექტარი პურეული მომკას და ამით პირნათლად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ საბუეს კოლმეურნეობის მექანიზატორი ილია მარმაზანაშვილი, გრემის კოლმეურეობის კომბაინერი ბიჭიკო ბერიაშვილი, ვარდისუბნის კოლმეურნეობის მექანიზატორი მაპარი მჰედლიძე და ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კომბაინერი გიგა წმინდაშვილი. სულ რაიონში მომკილია 8.900 ჰექტარი პურეული.

ხორგალი—სახელმწიფოს

გურჯაანი. (ტელეფონით). თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღებაზე ყოველდღიურად 57 კომბაინი მუშაობს. მექანიზატორები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ პურეულის მოსავლის აღება 10-12 სამუშაო დღეში დაამთავრონ. უკვე მომკილია 1.300 ჰექტარზე მეტი.

დაწინაურდა ჩუმლაეის კოლმეურნეობა. აქ წელს კარგად მოუარეს „უფხო-1" ჯიშის ხორბალს და ახლა თავიანთ ნაამაგარს შეჰხარიან, საშუალოდ ჰექტარზე 25 ცენტნერ მარცვალს იღებენ.

ხორბლის მოსავალს უდანაკარგოდ იღებენ აგრეთვე ვაზისუბნის, ჭანდრისა და სხვა სოფლების კოლმეურნეები. ავტომანქანებს ყოველდღე მიაქვთ ხორბალი სახელმწიფო ბაღლებში. წელს გურჯაანელები სახელმწიფოს 5.260 ტონაზე მეტ მარცვლეულს მიჰყიდიან.

ბეჯითად და ნაყოფიერად იშრომეს წელს ყვარლის რაიონის სოფელ ყარსუბნის გაზეთ „პრავდის" სახელობის კოლმეურნეობის მემინდვრეებმა. კიდეც დაუფასდათ შრომა. მარცვლეულის უხვ მოსავალს იმკიან.

სურათზე: მარცვლეულის მოსავლის აღება სოფელ ყარსუბნის „პრავდის" სახელობის კოლმეურნეობაში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

გეგმა შესრულებულია

სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად,—აცნობეს გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას ქობულეთის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა **დ. თებიძემ** და საწარმოო სამმართველოს უფროსმა **ს. ჭანტურიძემ**, — ქობულეთელმა მშრომელებმა პირნათლად შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება. 30 ივნისისათვის სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა შეასრულეს 199 პროცენტით, რძისა — 100, კვერცხისა — 100, მსხვილი ტყავისა — 118, წვრილი ტყავისა — 106 პროცენტით.

ამერიკავკასიის რკინიგზელთა პატრიოტული ინიციატივა

ჩვენი ინტერვიუ

კომუნისტური შრომის მაგისტრალის წოდების მოპოვებისათვის ბრძოლაში ამერიკავკასიის რკინიგზის კოლეტივმა, სხვა წარმატებებთან ერთად, მნიშვნელოვნად შეამცირა ელექტროენერგიის ხარჯვა. მარტო გასულ ხუთ თვეში დაზოგა 19.342.515 კილოვატსაათი ელექტროენერგია.

განსაკუთრებით წარმატებით ზოგავენ ელექტროენერგიას თბილისისა და ლენინაკანის სალოკომოტივო დეპოების, რკინიგზის უძველესი საწარმოს — თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლეტივები. ამიერკავკასიის რკინიგზის სახელოვანმა კოლეტივმა სთხოვა სსრ კავშირის გზათა სამინისტროს ორი პროცენტით შეამციროს ელექტროენერგიის ხარჯვის ნორმა მატარებელთა წევაზე. სსრ კავშირის გზათა სამინისტრომ მოიწონა ეს შესანიშნავი თაოსნობა და დაავალა ჩვენი ქვეყნის რკინიგზათა უფროსებს მხარი დაუჭირონ ამიერკავკასიის რკინიგზელთა ინიციატივას, გამოავლინონ და გამოიყენონ ელექტროენერგიის ხარჯვის შემცირების რეზერვები.

გუშინ ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრა ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის პირველ მოადგილეს ი. ჭარუმიძეს და სთხოვა მას ეამბნა, თუ რა გზით აღწევს რკინიგზის კოლეტივი ელექტროენერგიის დიდ ეკონომიას.

აი რა თქვა მან:

— კომუნისტური შრომის მაგისტრალის წოდების მოპოვებისათვის ნაკისრი ვალდებულება ითვალისწინებს აგრეთვე ელექტროენერგიის ხარჯვის მნიშვნელოვან მეტ-მეტად ისინი, და შედეგმაც მოლოდინს გადააჭარბა. ელექტროქვესადგურებში დაგდგით ინვენტორული აგრეგატები, რაც ხელს უწყობს რეკუტერაციული დენის ათვისებას და იძლევა მნიშვნელოვან ეკონომიას. ეს კი მიღწეულია იმით, რომ თბილისისა და ლენინაკანის სალოკომოტივო დეპოების მემანქანეებმა დაღმართზე მოძრაობის დროს ელმავლები გადაადაქციეს თავისებურ ელექტროსადგურებად. ისინი იყენებენ რეკუტერაციულ დამუხრუჭებას. ელექტროენერგიის დაზოგვის საქმეში დიდ როლს ასრულებენ მძიმეწონიანი მატარებლების გადამყვანები. გადასტანი ტვირთის ზრდა იძლევა ელექტროენერგიის ხარჯვის მნიშვნელოვან შემცირებას. ელექტროენერგიის ხარჯვის შემცირების მიზნით ელმავლებზე მოვაწყეთ ელექტროადმრიცხველები. ამან მეტად გაზარდა ყოველი მემანქანის მატერიალური დაინტერესება და გააძლიერა ბრძოლა დენის ეკონომიურად ხარჯვისათვის.

ამან და მთელმა რიგმა სხვა ღონისძიებებმა, რომლებიც უკანასკნელ ხანს განვახორციელეთ, იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ელექტროენერგიის ეკონომიისათვის არსებული რეზერვების გამოყენებით, რამდენიმე ათას მანეთს შევმატებთ ქვეყანას. ამ მხრივ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. ძიება არ დამთავრებულა. ძიების ამ რთულ და საინტერესო გზაზე ამიერკავკასიის რკინიგზის კოლეტივი კიდევ ახალ რეზერვებს ჩაყენებს ელექტროენერგიის ეკონომიურად ხარჯვის სამსახურში.

ნ. ს. ხრუშჩოვის დეპეშა მალავის პრემიერ-მინისტრს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მალავის პრემიერ-მინისტრს ჰესტინგს ბანდას გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშა, რომელშიც გულითადად ულოცავს მალავის დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

მალავის ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაბადება, წერს ნ. ს. ხრუშჩოვი, — თქვენი ქვეყნის თავისუფლებისმოყვარე ხალხის, აფრიკის ხალხებისა და მსოფლიოს მთელი პროგრესული ძალების დიდი გამარჯვებაა.

ნ. ს. ხრუშჩოვი წერს: საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ ცნობს მალავის როგორც დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოს და მზად არის დაამყაროს მასთან დიპლომატიური ურთიერთობა და გაცვალონ დიპლომატიური წარმომადგენლობანი.

საბჭოთა მთავრობის მეთაური გამოთქვამს ღრმა რწმენას, რომ შორს არ არის ის დღე, როცა აფრიკის კონტინენტზე და მთელ დედამიწაზე აღარ იქნება კოლონიზატორთა მიერ დამონებული არც ერთი ხალხი. (საკდესი).

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲕᲘᲦᲝᲗ 12 ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲦᲔᲨᲘ!

ᲒᲔᲒᲛᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲔᲚᲗᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚᲘ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ

ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

6 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ მოსკოვში ინდონეზიიდან დაბრუნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიკოიანი.

როცა ინდონეზიაში მიდიოდა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციამ ა. ი. მიკოიანის მეთაურობით ინდოეთის მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის ლალ ბაჰადურ შასტრის მიწვევით ორი დღე დაჰყო ინდოეთში. ინდონეზიიდან სამშობლოში დაბრუნებისას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიკოიანი ეწვია ბირმასა და ავღანეთს.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

6 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ მოსკოვში მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაცია. დელეგაციაში შედიან რუმინეთში მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები იონ გეორგე მაურერი, ემილ ბოდნერაში, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები ლეონტე რეუტუ და ალექსანდრუ ბირლედიანუ.

ᲐᲕᲦᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

ორ დღეს იყო საქართველოში ავღანეთის სამხედრო დელეგაცია ეროვნული თავდაცვის მინისტრის გენერალ-პოლკოვნიკ ხან მუჰამედ ხანის მეთაურობით. დელეგაცია საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა ოფიციალურ ვიზიტად.

დელეგაციის წევრები გაეცნენ ქართველი ხალხის ცხოვრების სხვადასხვა მხარეს, იყვნენ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ნაწილებში.

ავღანეთიდან ჩამოსული სტუმრები, რომლებიც განაგრძობენ მოგზაურობას საბჭოთა კავშირში, ყირიმს გაეგზავნენ. ეროდრომზე ისინი გააცილეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა არმიის გენერალმა ა. ტ. სტუჩენკომ, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა ი. ს. კატოკინმა, ოლქის შტაბის გენერლებმა და ოფიცრებმა.

გენერალ-პოლკოვნიკმა ხან მუჰამედ ხანმა მიიღო საპატიო ყარაულის უფროსის პატაკი. ეროვნულ ავღანეთის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

ეროდრომზე შეკრებილნი გულთბილად გამოეთხოვნენ ავღანელი ეროვნული თავდაცვის მინისტრს ხან მუჰამედ ხანსა და მის თანმგზავრებს. თავისი სახელით და დელეგაციის წევრთა სახელით მან გულწრფელი მადლობა გადაუხადა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალს არმიის გენერალს ა. ტ. სტუჩენკოს, ოლქის გენერლებსა და ოფიცრებს მასპინძლობისათვის და აღნიშნა, რომ ვიზიტი ხელს შეუწყობს ავღანეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრული ურთიერთობის კიდევ უფრო განმტკიცებას. (საქდესი).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲒᲐᲜ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დიდი მწუხარებით იუწყება, რომ 1964 წლის 4 ივლისს მძიმე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა პოეტი ლენინური პრემიის ლაურეატი სამუელ იაკობის-ძე მარშაკი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ ᲛᲐᲚᲐᲕᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲡ

ᲫᲛᲣᲠᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ მინისტრთა საბჭოს ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისო კომისიის პირველმა სხდომამ განიხილა საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის უაღრესად აქტუალური და დიდმნიშვნელოვანი პრობლემები, აგრეთვე ამ ორი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის საკითხები. სხდომა გაიმართა მოსკოვში 2-5 ივლისს. საბჭოთა დელეგაციას მეთაურობდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ა. ლესეჩკო, ბულგარეთის დელეგაციას — ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ტოდოროვი.

მიღებულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ კომისიამ მოისმინა და განიხილა ორივე ქვეყნის საგეგმო ორგანოების წარმომადგენელთა მოხსენება სსრ კავშირისა და ბულგარეთის 1966-1970 წლების გეგმების (მრეწველობის ურთიერთ დაინტერესებული დარგების) კოორდინაციის შესახებ წინასწარ კონსულტაციათა შედეგებზე. ორივე მხარემ ერთმანეთს გაუზიარა აზრები შემდგომი თანამშრომლობის შესახებ მანქანათმშენებლობის დარგში, მსუბუქ და ქიმიურ მრეწველობაში, მათ განიხილეს ზოგიერთი საკითხი, რომლებიც უკავშირდება სპეციალიზაციისა და კოოპერირების კიდევ უფრო განვითარებას მანქანათმშენებლობაში.

კომისიამ აღნიშნა, რ

ბაზეთი რაიონი ტელევიზია

გაუფრთხილდეთ საფაბრიკო მარკის ღირსებას!

მდარე მასალით კარგი სახლი არ აშენდება

ამას წინათ „კომუნისტის“ რედაქციამ, საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტმა მოუწყვეს საბურთალოს მასივში მოგინადრეთა - შეხვედრა მშენებლებთან. ამ შეხვედრამ გამოავლინა არაერთი ნაკლი ბინათმშენებლობაში, ითქვა სამართლიანი საყვედურები საშენი მასალების მიმწოდებელი საწარმოების მისამართითაც, რომლებიც მშენებლებს ზოგჯერ ცუდი ხარისხის საშენ მასალებს უგზავნიან. ადგილზე შევამოწმეთ მეტეხის საშენ მასალათა კომბინატისა და ტრასტ „თბილმშენინდუსტრის“ ბაჯის ქარხნების მუშაობა. გაზეთის დღევანდელ ნომერში ვგეგმავთ შემოწმების მასალებს.

მეტეხის საშენ მასალათა კომბინატი რესპუბლიკაში ყველაზე დიდი აგურის საწარმოა. კომბინატი ყოველწლიურად 76 მილიონ ცალ აგურსა და 1,8 მილიონ კრამიტს ამზადებს.

გეგმებს აღნიშნული კომბინატის კოლექტივი ყოველთვიურად გადაჭარბებით ასრულებს. აქ ფართოდ ინერგება მექანიზაცია და ავტომატიზაცია, იზრდება კომუნისტური შრომის ბრიგადების რიცხვი...

როცა ლაპარაკი პროდუქციის ხარისხზე ჩამოვარდა, კომბინატის დირექტორმა იური ვალაბუძემა კვითხრა:

— მობინდრეთა და მშენებელთა მიერ ჩვენს მიმართ გამოთქმული საყვედურები სინამდვილეს შეეფერება. ჩვენ მართლაც ვცოდავთ, განსაკუთრებით მაშინ, როცა გამუდმებული წვიმებია. ასეთ დროს საგაურე თიხა იმდენად ნესტიანდება, რომ ძნელდება მისი სათანადოდ გაშრობა. ცხადია, ასეთ შემთხვევაში ქარხნის მიერ გამოშვებული აგური შედარებით დაბალი მარკისაა. 100-125 მარკის ნაცვლად ვიღებთ 75 მარკიანობის აგურს.

ამ ცოტა ხნის წინათ თიხის მიმდებ განყოფილებაში დაიწყეს დაფქული ქვანახშირის გარევა თიხაში, რაც საგრძნობლად აუმჯობესებს გამოშვებული აგურის ხარისხს. თიხაში ქვანახშირის გარევის პროცესი რომ უფრო სრულყოფილი გახდეს, მეტეხელი მეცადურეები კონვეიერული სისტემის ისეთ მოწყობილობას ამონტაჟებენ, რომელიც ამ პროცესს სათანადო ტექნოლოგიურ ციკლს შეუქმნის. სამწუხაროდ, ხე-ტყის უქონლობის გამო მშენებლობა ჭიანურდება, კომბინატს ხელმძღვანელობას კი ნავარაუდევი აქვს იგი საექსპლოატაციოდ მიმდინარე წლის მეხამე კვარტალში გადასცეს.

თუ ზოგჯერ აგური დაბალი მარკიანობით ხასიათდება, ამის მიზეზი არც თუ ისე იშვიათად სამაზუთო მეურნეობაც არის. საქმე იმაშია, რომ შარშან კომბინატმა აშენა 800 ცალა ტევადობის ორი მაზუთსაცავი. პროექტით გათვალისწინებული იყო ხატუმბის მშენებლობაც, რომელიც დღესაც დაუმთავრებელია. ეს იმას იწვევს, რომ წვიმების დროს საგამოწვო ღუმელებს წყალგარეული მაზუთს აწვდიან. უხარისხო საწვავი კი ღუმელებში წვის პროცესს ანელებს, რაც გავლენას აბდენს გამოშვებული აგურის ხარისხზე. ახეთე ბრკოლდება ახალი სარკინიგზო ჩიხის საექსპლოატაციოდ გადაცემაც. ამის გამო კი უმოქმედოდ დგას ვეება ამწე, ხოზიაშვილი, ლევან ქარქუსაშვილი, მწნეხავები ჭიორგი ალიმბარაშვილი, ვახტანგ დავითაშვილი, გივი დარჩიაშვილი და სხვები.

ქარხნის ერთ-ერთ კორპუსზე გაკეთებულია ტრანსპარანტი წარწერით—„ავამოქმედოთ ყველა რეზერვი!“. ჩვენ უპირველეს ყოვლისა დაგვინტერესება პროდუქციის ხარისხის ამაღლების რეზერვებმა! ასეთი რეზერვები აქ მართლაც ბევრია. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მუშათა კვალიფიკაციის ამაღლება. ქარხანაში ბევრია წარმოების ნოვატორი, გამომგონებელი და რაციონალიზატორი, რომელთა გამოცდილება ყველას კუთვნილებად უნდა იქცეს. ამ საქმეში არანაკლებ მნიშვნელოვანია თბილისის საშენ მასალათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თბოტექნიკის ლაბორატორიის მუშაკების თანამეგობრობა მეტეხელ მეაგურეებთან.

— შეიძლება თუ არა არსებული მოწყობილობის უფრო ეფექტური გამოყენება? — ვკითხეთ თბილისის საშენ მასალათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თბოტექნიკის ლაბორატორიის გამგეს დიმიტრი ნიბიერიძეს. მან განმარტა:

— საერთოდ თუ გსურთ აგურის ხარისხი გაუმჯობესოთ, პირველ რიგში სათანადო დონემდე უნდა აამაღლო საგამოწვო ღუმელის თბური რეჟიმი, ქარხანაში ჩვენ სწორედ ამ მიმართებით გავშალეთ კვლევითი სამუშაოები და სასურველ შედეგსაც მივაღწიეთ.

მეხუთე საგამოწვო ღუმელზე, რომელიც კვლევით ობიექტად ავირჩიეთ, არსებული მაზუთის ფრქვევანები ჩვენ მიერ დაპროექტებული და კონსტრუირებული ფრქვევანებით შევცვალეთ. გავაუმჯობესეთ აირების დინამიკაც. საგამოწვო ღუმელზე დმატებით აირსასვლელი მილები დავამონტაჟეთ, ამით ღუმელზე საბოლოოდ დავამყარეთ სასურველი ოპტიმალური თბური რეჟიმი.

შედეგები საუცხოოა. ცდების ჩატარებამდე საგამოწვო ღუმელზე, აგურის გამოწვის ზონაში მაქსიმალური ტემპერატურა 820-850 გრადუსს არ აღემატებოდა. ჩატარებული ღონისძიების შედეგად კი მაქსიმალურმა ტემპერატურამ 980-დან 1000 გრადუსამდე მიაღწია. ამით საგრძნობლად გაუმჯობესდა აგურის გამოწვის პირობები, ხოლო აგურის მარკიანობა 75-დან 100-მდე გაიზარდა. უახლოეს ხანში განზრახული გვაქვს ეს ტექნიკური გაუმჯობესებანი დანარჩენ ოთხ ღუმელზეც განვახორციელოთ.

ტრესტ „თბილმშენინდუსტრიის“ გაჯის ქარხანა 26 კომისრის რაიონში, ქალაქის განაპირას მდებარეობს. მისი კარიერები გაბნეულია საგარეჯოსა და გარდაბნის რაიონებში. თუ ქარხნის მუშაობას საწარმოო-ტექნიკური მონაცემების მიხედვით შევაფასებთ, მას არც თუ ურიგოდ აქვს საქმე. ქარხნის კოლექტივმა, რომელიც ძირითადად გაჯსა და ნაწილობრივ სამშენებლო წიდაბლოკებს ამზადებს, გასული წლის გეგმა ოქტომბერში შეასრულა. წლის უკეთესი ტემპია აღებული. წლის ბოლომდე მათ უნდა გამოუშვან სულ ცოტა 75.000 ტონა პროდუქცია. ამ დავალების განხორციელებისათვის თავდადებით შრომობს ქარხნის მთელი კოლექტივი. გაჯის ხარისხი ბევრად არის დამოკიდებული სამარაგო ბუნკერიდან ხაშრომ დოლში ნედლეულის მიწოდების დონაზე, გამოწვის ხანგრძლივობაზე. რაც უფრო მეტია გამოწვის დრო, მით უკეთესი ხარისხის პროდუქცია მზადდება.

სანამ ქარხნიდან პროდუქცია მომხმარებლამდე მივიდოდეს, მას მრავალნაირად ამოწმებენენ, ამოწმებენ მას ხაწარმოს ლაბორატორიაშიც, რომელსაც საწარმოო-ტექნიკური განყოფილების გამგე ანდელიკა ფარსადანოვა ხელმძღვანელობს. ის ამბავი, რომ მათი ნაწარმიადმი სხვადასხვა სამშენებლო ორგანიზაციები საყვედურს გამოთქვამენ, ფარსადანოვას არ გაჰკვირვებია. აი რა გვიამბო მან:

— სასაყვედურო ზოგჯერ მართლაც აქვთ. მშენებლებს ყოველთვის როდი ვუგზავნით მაღალხარისხოვან პროდუქციას. ეს კი გამოწვეულია იმით, რომ გაჯს ვუვავთ როგორც მექანიკური წესით, ისე კუსტარულად — კარიერებზე. მექანიკური გამოწვის საამქროში ტექნოლოგია დაცულია. ცხადია, პროდუქციის ხარისხიც საუკეთესოა. რაც შეეხება კუსტარულ გაჯს, იგი ვერ აკმაყოფილებს გამოწვის პირობებს, გამოწვა ხდება განფენით, შრეებად. გაჯის ხარისხი დიდად არის დამოკიდებული აგრეთვე იმაზე, თუ რამდენად კარგად შეარჩევენ გამოწვეულები მიწა-ნედლეულს. კერძოდ, იგი არ უნდა იყოს თიხანარევი, ნესტიანი.

მშენებლები ნაკლზე დროულად რომ მიგვითითებენ, ეს კარგია. მაგრამ მათ ისიც კარგად უნდა ახსოვდეთ, რომ გაჯი ფრთხილად და ფაქიზად მოპყრობას მოითხოვს. მთელ რიგ სამშენებლო ობიექტებზე ფარდულების უქონლობის გამო გაჯი ღია ცის ქვეშ ყრია. წვიმა და ქარი აუარესებს მის ხარისხს. ზოგი მლეხავი ვერ ამზადებს გაჯის ზომიერ ცომს, იგი ან ზედმეტად თხელია, ან შესქელებული, ორივე შემთხვევაში გაჯი კარგად არ ეკვრის კედელს, შენალესი უხარისხო გამოდის. ხდება ისიც, რომ შელესილის ჯერ პირველი პირი გამშრალი არ არის და მეორე პირის წასმას იწყებენ. ამის შედეგია კედლებზე ბზარების გაჩენა. შელესვისას დაცული უნდა იყოს გარკვეული სითბური რეჟიმი. შელესვის ხარისხზე განსაკუთრებით ცუდად მოქმედებს სიცივე. ჩვენი მუშაკები ხშირად თუ არა, ზოგჯერ მაინც მიდიან მშენებლობებზე და ხდებიან იმ ფაქტების მოწმენი, რომლებზეც ახლა ვილაპარაკე.

ჩვენი აუარადღება განსაკუთრებით მიიპყრო იმან, რომ აქ საქარხნო წარმოების გვერდით გაჯი კუსტარული წესით მზადდება. მთავარ ინჟინერთან ერთად დავათვალიერეთ თბილისის ზღვის, ლილოს და ვაზიანის გაჯის კარიერები. გაჯის პირველადი ნედლეულის მოკრა, დაწყობა და გამოწვა ხდება ღია ცის ქვეშ. ქარხნის ასეთი კარიერების რიცხვი კი ცოტა არ არის. კუსტარული წესით გამომწვარი გაჯი მიდის მშენებლობებზე, სადაც ხდება მისი გაცრა, იხარჯება დამატებითი შრომა. გაჯის ხარისხი კი ამით დიდად როდი უმჯობესდება. მართალია, უკანასკნელ პერიოდში აქ ააგეს პრიმიტიულად დაწყვარი გაჯის გამცრელი მექანიკური საამქრო, მაგრამ დაწვის ადგილებიდან მისი მოტანა დიდძალ ტრანსპორტს, მუშახელს მოითხოვს, მით უმეტეს, რომ 75.000 ტონიდან წელიწადში აქ მექანიკური წესით მხოლოდ 20.000 ტონა გაჯი მზადდება.

— რატომ არ შეიძლება, — ვეკითხებით მთავარ ინჟინერს დანელიას, — მოახდინოთ ქარხნის რეკონსტრუქციაგაფართოება, კუსტარული წესი ლიკვიდაცია, წარმოების ცენტრალიზაცია? ეს ხომ უფრო გაუმჯობესებდა გაჯის წარმოებას, პროდუქციის ხარისხს, შეამცირებდა მის თვითღირებულებასაც.

— რასაკვირველია, ერთიანი ცენტრალიზებული წარმოება დიდად გაუმჯობესებენდა გაჯის წარმოებას, დაზოგეული ვიქნებოდით არასასურველი მეტეოროლოგიური მოვლენებისაგანაც. ჩვენი წარმოების რეკონსტრუქციის საკითხი კარგა ხანია დასმულია. წარმოების გაფართოების პროექტი შედგენილი და მოწონებულიც არის, მაგრამ საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისია და მშენებლობის სამინისტრო ამ საქმეზე საჭირო სახსრების გამოყოფას აგვიანებენ.

ხაშენ მასალათა მრეწველობის მუშაკებს მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ დაბალი ხარისხის მასალებით ლამაზი და მკვიდრი სახლები არ აიგება, მშენებლები კი მასალებს ფრთხილად უნდა მოეკიდონ, დაიცვან მათი შენახვისა და გამოყენების ტექნოლოგია.

თ. გელაშვილი,
ხ. არჩემაშვილი,
ზ. ჯამასპიშვილი.

სანტექნიკოსები აგვიანებენ

მეტალურგიულ ქალაქში შენდება სკოლა 984 მოსწავლისათვის. სამდურავს ვერ ვეტყვით რუსთავის ბინათმშენებლობის სამმართველოს კოლექტივს (სამმართველოს უფროსი ა. გოგაეტიშვილი)—25 აპრილს მთვიდნენ მშენებლები ახალ, 36-ე კვარტალში. მაშინ ორი საცხოვრებელი სახლი თუ იყო აქ დამთავრებული. ახლა კი მთელი ქალაქია. აქ იცხოვრებენ ოთხგორაც მეტალურგები, ისე ქიმიკოსები, თვით მშენებლები. და სწორედ მათთვის შენდება ეს სასკოლო შენობა. ვადა 20 აგვისტოა.

